განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკა

ბაკალავრიატი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 19.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 13.12.2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამა აკრედიტირებულია, აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №725 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარინა ჩავლეიშვილი** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	**ეკა ლეკაშვილი**

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ია ნაცვლიშვილი** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე მიქელაძე** დამსაქმებელი, დამოუკიდებელი აუდიტორი, ბლექ ანდ ვიჩ სფეშელ პროჯექტს კორპის ფილიალი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ზურაბ ჯანხოთელი** აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბერის №725 გადაწყვეტილებით, მიენიჭა აკრედიტაცია. ამჯერად, პროგრამა წარმოდგენილია ახალ აკრედიტაციაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის კომპონენტი მოიცავს 240 ECTS, მათ შორის, **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების** 180 ECTS, **თავისუფალი კომპონენტის** სასწავლო კურსების 60 ECTS. თითოეულ სემესტრში განაწილებულია 30 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსებიდან: უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) დათმობილი აქვს სულ 21 ECTS; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს -144 ECTS; არჩევითი სასწავლო კურსებს -15 ECTS. თავისუფალ კომპონენტებს (60 ECTS) სტუდენტი ირჩევს ინდივიდუალურად და უნივერსიტეტი მას სთავაზობს ორ ვარიანტს: 1. ნებისმიერი საბაკალავრო აკრედიტებული პროგრამის (მათ შორის, ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს. რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევა შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში ცოდნის გაფართოების მიზნით; 2. სთავაზობს დამატებით (Minor) პროგრამას - 48 ECTS (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და თავისუფალი პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლას (5 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას (6 ECTS). მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ეკონომიკის ბაკალავრი (Bachelor of Economics).

მიღებული აკრედიტაციიდან დღემდე, ეტაპობრივად საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოხდა მისი მოდიფიცირება, კერძოდ:

- ✓ გაფართოვდა სპეციალობის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები;
- ✓ პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც შეეხება არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების გადანაწილებას; პროგრამას დაემატა პროფესიული პრაქტიკა.

- ✓ შეიცვალა სასწავლო კურსების (სილაბუსები) დასახელებები, შინაარსი, დაშვების წინაპირობები და/ან კრედიტების რაოდენობა, გაძლიერდა თემატიკა, განახლდა ლიტარატურა.
- ✓ დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა და/ან დაშვების წინაპირობები, აგრეთვე, დასახელების ცვლილების გათვალისწინებით, შეიცვალა კოდები.

პროგრამაზე, დღეის მდგომარეობით არის 109 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი (კურსდამთავრებული 87). პროგრამა უზრუნველყოფილია განმახოციელებელი პერსონალით (აკადემიური, მოწვეული პერსონალი), კერძოდ, პროგრამაში ჩართულია 33 პერსონალი, მ.შ. 28 აკადემიური პერსონალი აფილირებულია სტუ-თან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ აკრედიტაციის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 19 ნოემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom პროგრამული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტამდე, 2021 წლის 18 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom-ის მეშვეობით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეკრება. შეხვედრაზე, წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში დასაზუსტებელი აუცილებელი კითხვები.

2021 წლის 19 ნოემბერს, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, სტუდენტთა სამუშაო სივრცე, კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ) დათვალიერება, განხორციელდა ვიდეო ჩართვა, ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიიდან, აგრეთვე, ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამის თითოეული სტანდარტის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან ქვესტანდარტი 1.1 შესაბამისია მოთხოვნებთან და 1.2 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- **მეორე სტანდარტი** - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან ქვესტანდარტი 2.2 და ქვესტანდარტი 2.3 მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- **მესამე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეოთხე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეხუთე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

სტანდარტი 1, ქვესტანდარტი 1.2

- მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,**ცნობს** უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
- გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი ,,აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე".

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.2

- პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
- ზუსტად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად კონკრეტული სასწავლო კურსები, რომელთა გავლის გარეშე სტუდენტი ვერ დაარეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად.

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.3

- სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრატიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტი 1, ქვესტანდარტი 1.2

- მიზანშეწონილია, ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტით განისაზღვროს პირობა, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.2

- სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.4

- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის უსდ-ს ინტერნაციონალიზაციას.

სტანდარტი 3, ქვესტანდარტი 3.1

- სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალის ფუნქციონირებას და მყისიერი ქმედება განახორციელოს სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე, რათა აღნიშნულმა ფაქტმა არ შეაფერხოს სტუდენტის ინფორმირებულობა სასწავლო პროცესთან და სხვა მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.
- მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მათ მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებისა და მათი გამოყენების შესახებ.
- სასურველია უსდ-მ სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ ინფორმაცია (ცნობარი) გაავრცელოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით.

სტანდარტი 5, ქვესტანდარტი 5.1

- განისაზღვროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები.
- ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით ხარისხის შეფასების პროცესში დაინერგოს მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება.

სტანდარტი 5, ქვესტანდარტი 5.3

- დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი.
- განხორციელდეს კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
- განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების/ადმინისტარციის წარმომადგენლების დასწრების საშუალებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამას დაემატა პროფესიული პრაქტიკა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გადამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის №725 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების, ასევე, შრომისა და განათლების ბაზრების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგების, ეკონომიკის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. პროგრამა ცვლილებებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის **მიზანია** უზრუნველყოს ეკონომიკის სფეროს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებისა და ღირებულებების შესაბამისი, უწყვეტი პროფესიული ზრდის შესაძლებლობის მქონე სპეციალისტის მომზადება, კერძოდ: ✓ სტუდენტებს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკის ძირითად პრინციპებზე, მოდელებზე, კანონზომიერებებსა და ფუნქციონირების თანამედროვე პირობებზე; ✓ ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად გამოუმუშაოს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება, მონაცემების ანალიზი და შეფასება, შესაბამისი დასკვნის გაკეთება და კომუნიკაცია. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება იმ ცოდნისა და უნარების შეძენას, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფისთვის უმთავრესია და რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. მასში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც მიმართულია კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ამასთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების ინტერნაციონალიზაციას, უწყვეტობას, მდგრადობასა და ხელმისაწვდომობას; აღნიშნული

თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიეროკვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა, მათი მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს. ამ მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში ასახულია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, რაც მოიცავს უცხო ენის ბლოკის სწავლებას 21 ECTS კრედიტის მოცულობით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2025 წლების სტრატეგიული განვითარების და 2018-2020 სამოქმედო გეგმები, სადაც გამოკვეთილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე დაგეგმილი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის პროგრამის გაძლიერება პრიორიტეტულ მიმართულებებშია.

რეაკრედიტაციისთვის პროგრამის მოდიფიცირების და სრულყოფის მიზნით შეიქმნა სსუ-ის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების მონაწილობით, მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით განხორციელდა კურიკულიმისა და სილაბუსების მოდიფიცირება; პროგრამის განვითრების გეგმის შემუშავება; შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; სავალდებულო ლიტერატურის განახლება. გადამუშავდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის სწავლისა და სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სილაბუსების შინაარსი. განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები.

გადამუშავებული პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში თავისი მასალებით შიდა და გარე ექსპერტიზაზე იქნა წარდგენილი. პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.საბოლოო სახით ცვლილებები აისახა პროგრამაში და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე (2021 წლის 15 ივლისი, N 05/01-713).

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის მისია, https://www.sou.edu.ge/content/2/4/0/0/0 ;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2018-2025 სტრატეგიული განვითარების და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები https://www.sou.edu.ge/images/file/1539072931--strategiuli%20ganviTarebis%20gegma_2018-2025.pdf;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- სსუ-ის და ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი; https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N 05/01-713, 2021 წლის 15 ივლისი;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,ეკონომიკის ბაკალავრი" თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. იგი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის დონეს.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- **აღწერს** ეკონომიკის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, კონცეფციებსა და პრინციპებს, მოდელებსა და მეთოდებს;
- **ხსნის** ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს და კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და

საერთაშორისო დონეზე;

- **განსაზღვრავს** სხვადასხვა სტრუქტურის ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირების პირობებს;
- **განიხილავს** ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს, მათი გამოყენების პირობებს;

უნარი

- **იყენებს** მიღებულ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეკონომიკური პროცესების სამართავად;
- **ახდენს** ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე;
- **ამზადებს** ეკონომიკის საკითხებზე დასკვნების პრეზენტაციას თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- **გეგმავს** განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას არაპროგნოზირებად გარემოში, ხარისხიანად და ეთიკური ნორმების დაცვით;
- **ცნობს** უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწას, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, სადაც საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები მოითხოვება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრისთვის უნივერსიტეტმა შრომის და განათლების ბაზრების სპეციალური კვლევები ჩაატარა და კვლევის შედეგები გამოყენებულია პროგრამის შედეგების განახლებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც ძირითადად დაცულია პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა შედეგების გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების საფუძველზე, გარდა სასწავლო კურსისა ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია". აღნიშნული სასწავლო კურსის თემატიკა და შედეგები მიღწეული შეიძლება იქნას მხოლოდ დამამთავრებელი სემეტრების პირობებში, რა ეტაპზეც სტუდენტი მოახდენს ,,ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირებას და კრიტიკულ გააზრებას", რაც ცოდნის განმტკიცების ეტაპზე არის შესაძლებლი.

შესაფასებლად წარმოდგენილია ეკონომიკის ,,მაინორ" პროგრამა. იგი 48 ECTS კრედიტს მოიცავს. პროგრამის მიზანია

,,ცოდნა და გაცნობიერება

- აღწერს ეკონომიკის ძირითად ცნებებსა და დებულებებს, კონცეფციებსა და პრინციპებს, მოდელებსა და მეთოდებს;
- აცნობიერებს ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად პირობებს და კანონზომიერებებს მიკრო და მაკრო დონეზე .

უნარი

- იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეკონომიკური პროცესების სამართავად;
- აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების,

კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე“.

ამ უკანასკნელი შედეგის მიღწევა ხუთი 6 კრედიტიანი სასწავლო კურსებით წარმოდგენილი სტრუქტურის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ მიზანშეწონილია მისი გადამუშავება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებით“. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება და სამიზნე ნიშნულები იგეგმება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაღრმავება/განმტკიცება. განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია შესაბამის სასწავლო კურსებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება; ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20% -ზე მეტი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება:

- ✓ კრედიტები;
- ✓ სწავლების მეთოდები;
- ✓ თემატიკა;
- ✓ მოცულობა;
- ✓ შეფასების ფორმები და მეთოდები;
- ✓ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა;
- ✓ კურსის დაძლევის წინაპირობა და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგები გაანალიზდება და შედარდება სამიზნე ნიშნულებთან. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის გადახედვა და კურიკულუმის რუკის მოდიფიკაცია. ამ პროცესში მნიშნველოვანია აგრეთვე სტუდენტებთან უკუკავშირი. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანამანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფსების სახელმძღვანელოს მეოთხე მუხლის მიხედვით (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება) სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა ცოდნასა და უნარს. გამომდინარე აქედან, **სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებულ იქნას იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. მიზანშეწონილია, ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების“ დოკუმენტით განისაზღვროს ეს პირობა.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სსუ-ს აკადმიური საბჭოს დადგენილება 05.01-384, 22.02.2018;
- ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.

- სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და პეოგრამის სწავლის შედეგების რუკა, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი, დანართი №1);
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი; https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
- გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი ,,აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტით განისაზღვროს პირობა, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი წინაპირობები. კერძოდ, ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი; ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული). მესამე საგნად განსაზღვრულია მათემატიკა. ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად.

აღნიშულთან დაკავშირებული პროცედურები კი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, აღნიშნულია პროგრამაში, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; ○ სსუ-ის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/ ○ ფაკულტეტის ვებ-გვერდი; https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0 ○ აბიტურიენტის ცნობარი 2021, https://edu.aris.ge/news/abiturientis-cnobari-2021.html ○ ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლბ 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის კომპონენტი მოიცავს 240 ECTS, მათ შორის, **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების** 180 ECTS, **თავისუფალი კომპონენტის** სასწავლო კურსების 60 ECTS. თითოეულ სემესტრში განაწილებულია 30 ECTS. სავალდებულო სასწავლო კურსებიდან: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული სნ რუსული) დათმობილი აქვს სულ 21 ECTS; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები -144 ECTS; არჩევითი სასწავლო კურსები -15 ECTS. თავისუფალ კომპონენტებს (60 ECTS) სტუდენტი ირჩევს ინდივიდუალურად და უნივერსიტეტი მას სთავაზობს ორ ვარიანტს: 1. ნებისმიერი საბაკალავრო აკრედიტებული პროგრამის (მათ შორის, ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს. რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევა შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში ცოდნის გაფართოების მიზნით; 2. სთავაზობს დამატებით (Minor) პროგრამას- 48 ECTS (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და თავისუფალი პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლას (5 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას (6 ECTS). მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ეკონომიკის ბაკალავრი (Bachelor of Economics). **წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, კერძოდ,** გაფართოვდა სპეციალობის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები; გადანაწილდა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები; შეიცვალა სასწავლო კურსების (სილაბუსები) დასახელებები, შინაარსი, დაშვების წინაპირობები და/ან კრედიტების რაოდენობა, გაძლიერდა თემატიკა, განახლდა ლიტარატურა. დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, აგრეთვე, შეიცვალა სასწავლო კურსების კოდები; **პროგრამას დაემატა პროფესიული პრაქტიკა.** პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა **მეტწილად უზრუნველყოფს** პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგემილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა ხელმისაწვდომია და საჯარო ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე: https://www.sou.edu.ge/content/4/74/190/0/0 **აღნიშნული სტანდარტის ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია გარკვეული რეკომენდაციისა და რჩევების მიცემა, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და უფრო მეტად მყარს გახდის მას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებაში. ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის სტრუქტურაზე და მის შესაბამისობაზე სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მოთხოვნებთან, კერძოდ, შესაბამის დოკუმენტში, (მუხლი 2, პუნქტი 5) დეტალურ სფეროში სწავლის სფეროების კლასიფიცირების პრინციპი მითითებულია „საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები შეესაბამება**

დეტალური სფეროს სვეტებში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირითადი შინაარსი (სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები) შეესაბამება ამ დეტალურ სფეროს და ამ დეტალური სფეროს ხვედრითი წილი (შესაბამისი კრედიტების მოცულობის მიხედვით) 50%-ზე მეტია“. მოცმეული პროგრამის შემთხვევაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები დეტალური სფეროს შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ ამ პრობლემას ნაწილობრივ არეგულირებს პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები; მათემაკიტა ეკონომისტებისთვის 1, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2, სტატისტიკა ეკონომისტებისთვის. ვინაიდან, დეტალური სფეროს (0311 ეკონომიკა) სასწავლო კურსები უნდა იყოს 50%-ზე მეტი (მინიმუმ 121 კრედიტი), ხოლო წარმოდგენილ პროგრამაში დეტალური სფეროს კურსების კრედიტების რაოდენობა ნაკლებია, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, არსებული პრობლემა შესაძლებელია გადაწყდეს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებით (წარმოდგენილი პროგრამა იძლევა ამის საშუალებას). გამომდინარე აქედან, **რეკომენდირებულია: განხორციელდეს დეტალური სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობის გაზრდა** (მაგალითად, ეკონომეტრიკის საფუძვლები, ფირმის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკა); **არჩევითი სასწავლო კურსებიდან ძირითაად სასწავლო კურსებში მაპროფილებელი სასწავლო კურსების გადატანა,** მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, ევროკავშიის ეკონომიკა, ინოვაციური ეკონომიკა; შესაძლებელია **საჯარო ფინანსები გახდეს არჩევითი სასწავლო კურსი; გაფართოვდეს დეტალური სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები,** რომელიც სტუდენტს შესაძებლობას მისცემს არჩევითი სასწავლო კურსებიდან მოახდინონ მათთვის სასურველი საგნის შესწავლა. ამ მხრივ, სასურველია პროგრამას დაემატოს მაგალითად, ისეთი სასწავლო კურსები როგორიც არის: „ეკონომიკის ისტორია“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“ და სხვა ეკონომიკის დეტალური სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის, **საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაზე,** კერძოდ, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა შემდეგნაირად არის ასახული „პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები“. აღნიშნული საჭიროებს სრულყოფას, ვინაიდან, ის უფრო დაცვის წინაპირობაა, გამომდინარე აქედან, **რეკომენდირებულია ზუსტად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად კონკრეტული სასწავლო კურსები, რომელთა გავლის გარეშე სტუდენტი ვერ დაარეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად.**

გასათვალისწინებელია რჩევები, კერძოდ, სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №13);
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სსუ-ს აკადმიური საბჭოს დადგენილება 05.01-384, 22.02.2018;
- საბაკალავრო პროგრამის ინსტრუქცია, (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი,

დანართი №6); ○ სსუ-ის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/ ○ ფაკულტეტის https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0 ○ ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: ➢ პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა. ➢ ზუსტად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად კონკრეტული სასწავლო კურსები, რომელთა გავლის გარეშე სტუდენტი ვერ დაარეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ პროგრამას დაემატა პროფესიული პრაქტიკა
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა

შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსები ერთმანეთთან კანონზომიერ კავშირშია და ლოგიკური თანმიმდევრობით განაპირობებენ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, მათ გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცებას. თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ ბაკალავრიატის საფეხურს და პროგრამის სწავლის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს, რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის ფასდება შესაბამისი კრიტერიუმით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია და იგი აღწერილია სილაბუსში.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა სასწავლო კურსების შინაართან და სწავლებასთან დაკავშირებით დადებითი დამოკიდებულება, თუმცა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ ისურვებდენენ სასწავლო კურსებში მეტად ყოფილიყო გაძლიერებული პრაქტიკული ნაწილი, კერძოდ, თეორიული საკითხების შესწავლის პარალელურად განეხილათ შესაბამისი პრაქტიკული ანალიზი, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა შესწავლილი მასალის პრაქტიკაში გამოყენებაზე. გამოდინარე აქედან, რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები, გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სასწავლო პროცესში, თემების შესაბამისად აქტიურად იქნეს გამოყენებული პრატიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელის ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

ინტერვიუების დროს დაფიქსირდა შედეგების გაუმჯობესების ტენდენცია. გათვალისწინებულ იქნა სტუდენტთა მოსაზრებები. უსდ-მ და პროგრამის ხელმძღვანელებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები და პროგრამას **დაემატა პროფესიული პრაქტიკა, ასევე, სასწავლო კურსებიც.**

პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტი სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია და ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, რაც გულისხმობს ეკონომიკის მიმართულებით დაგროვილი უახლესი ცოდნისა და მეთოდოლოგიის სრულ და ადეკვატურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

პროგრამის სასწავალო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სილაბუსის თემატიკის ადექვატურია, დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის მიღწევეზე, იძლევა და სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფენ სტუდენტებს შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით ქართულ ენაზე, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია სსუ-ის ბიბლიოთეკაში, რომლის წიგნადი საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. ასევე, მიმდინარე ვითარებაში, ელექტრონული სალექციო მასალით სტუდენტების უზრუნველყოფას

ახდენს შესაბამისი სასწავლო კურსის ან/და პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტებს საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა გააჩნიათ, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე, მის გარეთაც (იგი რეგისტირებული უნდა იყოს სსუ ბიბლიოთეკაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შდეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგი, სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის;
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №13);
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრატიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე, მათ ჩართვას კვლევით პროექტებში. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია და დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტი წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ასევე, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტის - პროფესიული პრაქტიკის - სახით. კერძოდ, სასწავლო კურსებში ძირითადი საათობრივი დატვირთვა ეთმობა სემინარულ, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მუშაობას და შემდეგ აქტივობებს: წერითი მუშაობის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტება, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი, კონკრეტული სიტუაციის (Case study) გარჩევა და სხვა. ყოველივე აღნიშნული სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს სპეციფიკური პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველს შეუქმნის კურსდამთავრებულს მოახდინოს რეალურ სამუშაო გარემოში ადაპტირება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი სურვილია სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ ანალიზს (იხ. რეკომენდაცია ქვესტანდარტში 2.3). პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში მნიშვნელოვანია პროგრამაში წარმოდგენილი **საწარმოო პრაქტიკის კურსი** 6(ECTS). რომელიც მოიცავს 150 საათს, მათ შორის, პროფესიული პრაქტიკა 90 სთ., პრაქტიკის ხელმძღვანელთან მუშაობა - 10 სთ, შუალედური შეფასება (პრაქტიკის დღიურის წარმოება) - 2 სთ, დასკვნითი შეფასება (პრაქტიკის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია)- 3 სთ, დამოუკიდებელი - 45 სთ: პრაქტიკის ანგარიშზე მუშაობა - 40 სთ, დასკვნითი გამოცდისთვის მზადება - 5 სთ. პრაქტიკის მიზანია სტუდენტს გაუღრმაოს თეორიული ცოდნის გამოყენება, გამოუმუშაოს პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები, ასევე, პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს კონკრეტულ ნაწილზე. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი ობიექტის პერსონალიდან, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) და გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ამასთან, ხელს უწყობს სტუდენტებს ინდივიდუალური დავალების შესრულებაში, ეხმარება მათთვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მოპოვებაში. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები; პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი მის მიერ შესწავლილ და შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას წარმოადგენს პრქატიკის ანგარიშის სახით. პროფესიული პრაქტიკა იგეგმება, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორისთვის. აღნიშნული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში. **ინტერვიუებით დაადგინა, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკის განხორციელებაში დაწესებულებას დიდ დახმარებას გაუწევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურები.** პროგრამა, სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ითვალისწინებს

კვლევითი ხასიათის **საბაკალავრო ნაშრომის** შესრულებას 6(ECTS), რომლის შესრულების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი **(საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობებთან დაკავშირებით რეკომენდაცია მოცემულია ქვესტანდარტში 2.2)**. საბაკალავრო ნაშრომი აჯამებს სტუდენტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს მის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, კვლევითი ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს. აღნიშნული ნაშრომი ახდენს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკულ გამოცდილების სისტემატიზებას, ავლენს კვლევითი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის ცოდნასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ასრულებს ინდივიდუალურად და ითვალისწინებს ხელმძღვანელის მითითებებს. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც აკადემიური, ასევე, მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ სწავლების სფეროს ღრმა თეორიული ცოდნა ან/და ამ სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ნაშრომმა უნდა გაიაროს **პლაგიატთან** დაკავშირებით შემოწმება. აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მისი პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია საინფორმაციო შეხვედრების, ფორუმების და სხვა სახის ღონისძიებების შესახებ.

სტუდენტისთვის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, როგორიც არის **საერთაშორისო, ადგილობრივი და ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების განხორციელება, რომელიც ტარდება ყოველწლიურად. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სრულად ფლობენ ინფორმაციებს აღნიშნული აქტივობების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუებით დადასტურდა კონფერენციებში ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა.**

უნივერსიტეტში შექმნილია **სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური,** რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, როგორც პარტიორ ორგანიზაციებში, ისე ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში, ასევე დახმარებას უწევს წარსადგენი დოკუმენტაციების სწორად მომზადებაში, სამსახური ამყარებს მჭიდრო ურთიერთობას კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფს უნივერსიტეტსა და მათ შორის, ეფექტურ თანამშრომლობას. უსდ ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზის შექმნას და მონიტორინგს. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ორგანიზაციები მზადა არიან მიიღონ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებაზე, ჩაუტარონ საცნობარო შეხვედრები და თემატური სემინარები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მნიშვნელოვანის სტუდენტების **ჩართულობა საერთაშორისო პროგრამებში.** ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მონაწილეობა აქვს მიღებული ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთ სტუდენტს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული აღნიშნულ პროექტში და იმყოფებოდა უცხოეთის უნივერსიტეტში ერთი სემესტრის განმავლობაში. უსდ-ში აქტიურად მიმდინარეობს უცხოელი პროფესორების ვიზიტი (ამჟამად, დისტანციურ რეჟიმში) და მათ მიერ ონლაინ ლექციების ჩატარება, რომლის შესახებ უსდ აქტიურად აწვდის იფორმაციებს სტუდენტებს, როგორც ელ. სისტემის, ასევე, ფაკულტეტის ვებ-გვერდისა და სხვა საშუალებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია;
- გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №13);

- სსუ-ის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ფაკულტეტის https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის უსდ-ს ინტერნაციონალიზაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი; წიგნზე მუშაობის; წერითი მუშაობის; პრაქტიკული; დისკუსია/დებატების; ჯგუფური (collaborative) მუშაობის; შემთხვევის ანალიზის (Case study); გონებრივი იერიშის (Brain storming); ელექტრონული სწავლების (E- learning); პროექტის შემუშავება და პრეზენტაციის; დემონსტრირების; ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის და სინთეზის; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესში, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს და მიღწევადია. პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას და ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტი მისი შესრულებისთვის გამოიყენებს შესაბამისი მეთოდების კომბინაცია.

უნივერსიტეტი სწავლა-სწავლების მეთოდების ადექვატურობის დასადგენად იყენებს სტუდენტების გამოკითხვის მეთოდს. უსდ შემუშავებული აქვს ლექცია-სემიანრების შეფასების კითხვარი, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეაფასოს, თუ რამდენად იყენებდა შესაბამისი სასწავლო კურსის პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს და რამდენად მიაღწია სტუდენტმა სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების საშუალებით და სხვ. **ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასებებში, რომელიც ტარდება ყოველი სემესტრის ბოლოს ელექტრონული პორტალის გამოყენებით.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომები;
- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №13);
- სსუ-ის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, იგი სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სსუ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების" დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) შეფასების 100 ბალიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს **შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.** ასევე, შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან.

საგანმანათლებლო **პროგრამის სასწავლო კომპონენტების** ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ასევე, სსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად:

- ✓ სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას;
- ✓ შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (0-100 ქულა) 0-60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებებისათვის, ხოლო 0-40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის;

- ✓ დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- ✓ შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით (რუბრიკით);
- ✓ შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს **მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე.** შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 20 ქულიანი წერითი კომპონენტით. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 11 ქულაზე ნაკლები. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 45% - ზე ნაკლები (18 ქულა) და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს (24 ქულა). კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში ზეპირი კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50 % - ს. ამ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი მიიღებს შეფასების თითოეულ ფორმაში (წერითი /ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სსწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (11 ქულა). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების წერითი კომპონენტის ჩატარებას უზრუნველყოფს ერთიანი საგამოცდო ცენტრი, რომლის დებულებითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სისტემა, რაც ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიების შექმნას სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება შუალედური (60 ქულა) და დასკვნითი შეფასების (40 ქულა) ფორმებით, **საბაკალავრო ნაშრომის** შალედური შეფასების კრიტერიუმებია: ნაშრომის ფორმალური მხარე (10 ქულა); მიზნისა და ამოცანის განსაზღვრა (10 ქულა), ფაქტობრივი მასალი ფლობა და გადმოცემის ტანმიმდევრობა (20 ქულა); არგუმენტაციის და დასკვნის უნარი (20 ქულა). შუალედური შეფასებების ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 15 ქულა. დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტებია: პრეზენტაციის ვერბალური მხარე (20 ქულა), პრეზენტაციის

ტექნიკური მხარე (10 ქულა), კითხვებზე პასუხის გაცემა (10 ქულა). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას. საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომს აფასებს კომისია. შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულს. სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს დაცვაზე მინიმალურ დადებით შეფასებას (20 ქულა) და/ან ჯამურად დააგროვებს 41-50 ქულა, განმეორებით დაცვაზე დაიშვება დამატებითი გამოცდების ვადებში. თუ აღნიშნული სტუდენტი განმეორებით დაცვაზე ვერ მიიღებს მინიმალურ დადებით შეფასებას ან ჯამურად ვერ დააგროვებს 51 და მეტ ქულას, საბაკალავრო ნაშრომი ხელახლა ექნება შესასრულებელი. სტუდენტის მიერ მომზადებული საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატზე შემოწმების წესის შესაბამისად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია განთავსებულია სსუ-ს ვებ-გვერდზე: https://www.sou.edu.ge/info/-sabakalavro-naSromis-Sesrulebis,-dacvisa-da-Sefasebis-instruqcia/81/1

საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხდება მიმდინარე აქტივობისა და დასკვნითი შეფასებისაგან. სემესტრის განმავლობაში მიმდინარე შეფასების მაქსიმალური ჯამური ქულაა 60, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა. მიმდინარე შეფასება (60 ქულა) შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: პრაქტიკაზე აქტიურობა 0-30 ქულა; შუალედური შეფასება - 0-30 ქულა; სტუდენტმი, რომელიც ვერ მიიღებს შეფასების 41-50 ქულას, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო შეფასების 40 ქულა ნიშნავს, რომ სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსა და წარმოდეგნილ დოკუმენტებში გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია განთავსებულია სსუ-ს ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/info/-sabakalavro-naSromis-Sesrulebis,-dacvisa-da-Sefasebis-instruqcia/81/1
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://www.sou.edu.ge/content/3/11/15/4/0
- სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება https://www.sou.edu.ge/images/dxp/saswavlo-procesis-marTvis-departamentis-debuleba-5e4fbae2ebeb7.pdf
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა- studlab;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსუ-ს სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერა. სსუ-ში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად არეგულირებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, „სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი“. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისათვის, ასევე, სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სისტემების მეშვეობით დროულად მიიღონ ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, კომუნიკაცია დაამყარონ პედაგოგთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი და სხვა. **ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში, რომელიც შეეხება სასწავლო კურსების, პედაგოგების, ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.** უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის სისტემა მოქნილია და მორგებულია სტუდენტის მოთხოვნებზე. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი ფონდით. სტუდენტებმა მათთვის სასურველი ლიტერატურა შეუძლიათ მიიღონ როგორც უნივერსიტეტში, ასევე, მის გარეთ და ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. **ინტერვიუების დროს სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავდნენ ბიბლიოთეკის მიერ გაწეული მომსახურებით, ასევე, დადებითად შეაფასეს პანდემიის დროს ონლაინ განხორციელებული სასწავლო პროცესის წარმართვა. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო საკითხებზე ადმინისტაციის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წარმომადგენლებიდან, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან.** უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომლის დებულების თანახმად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე, სსუ-ში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რომლებიც ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტის უფლებებისა და კანონიერ ინტერესების დაცვას. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, და მათი შესაძლებლობების წარმოჩინებას, სოციალურ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტთა მოთხოვნებზე მორგებული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით: სპორტის, კულტურის და სხვა აქტივობები: ტრენინგ-სემინარები, საჯარო ლექციები, სემინარ დისკუსიები, მრგვალი მაგიდები, შემეცნებით გასვლითი ექსკურსიები, ეწყობა ლაშქრობები და სამეცნიერო გასვლითი ტურები; უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უცხო ენების შესწავლისათვის უფასო

კურსებს; „სსუ“-ში სისტემატიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და სხვ.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულად ზრუნავს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციაზე და მათთვის სხვადასხვა ტიპის მხარდამჭერი ღონისძიებების შეთავაზებაზე.

უნივერსიტეტი სტუდენტებთან კომინუკაციისთვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, საინფორმაციო შეხვედრას, ინტერნეტ - რესურსებს, მოკლე ტესტურ შეტყობინებებს და სხვა რესურსებს. განსაკუთრებით ამ მხრივ ეფექტიანობით გამოირჩევა უსდ-ს სოციალური გვერდი და ოფიციალური ვებ-გვერდი. მათთვის კომუნიკაციის ზოგიერთი საშუალებების შესახებ ინფორმაცია არ იყო ცნობილი, მაგალითად, მინიაპლიკაცია „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიახლეები“. **გამოიკვეთა, რომ სტუდენტურ პორტალ „Stud Lab”-ს გააჩნია გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც შეეხება სასწავლო განრიგის ბაზაში ასახვას, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას, გამოცდების შემდგომ შეფასების ქულების დროულ ატვირთვას. ვიზიტისას ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა და სტუდენტმა უკმაყოფილება გამოთქვა სტაჟირებასა და დასაქმებაზე საინფორმაციო შეხვედრების (ონლაინ თუ პირისპირ) ნაკლებობასთან დაკავშირებით, სტუდენტები გარკვეულ ინფორმატიულ დეფიციტს განიცდიან, საკომუნიკაციო საშუალებებში ინფორმაციების განახლებასთან დაკავშირებით, ასევე, ყველა სტუდენტი ვერ იღებს ინფორმაციას გარკვეულ აქტივობებსა და გაცვლით პროგრამებზე.** ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გაცნობა და დაადგინა, რომ სტუდენტისტვის საჭირო ბევრი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, ასევე, ინტერვიუში მონაწილე სტუდენტების ნაწილი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ აღნიშნული ელ. სისტემის საშუალებით მიღებული მომსახურებით და მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის დროული მიღებით, მათ აღნიშნეს, რომ მუდმივად ღებულობენ ინფორმაციას კვლევით პროექტებისთან, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ. უნივერსიტეტმა წარმოადგინა კონფერენციების მასალები, სადაც აღნიშნული პროგრამის სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას.

უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტებისთვის სოციალურ მხარდაჭერას, რაც გამოიხატება სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემით, სსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა 2012 წლიდან ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამას, რაც ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულების დაფარვაში დახმარებას იმ სტუდენტებისთვის რომლებიც არიან: მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე; იძულებით გადაადგილებული; სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული; სოციალურად დაუცველი; მარჩენალ დაკარგული; მრავალშვილიანი (ოთხი შვილი ან მეტი); მაღალმთიანი რეგიონიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტების სარგებლობენ პროგრამის პრიორიტეტულობით და სწავლის საფასურის დაფარვას ახორციელებს სახელმწიფო.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო urTierTo ბებისა და კულტურათშორისი კავშირების სამსახური, რომელიც სისტემატურად ატარებს შეხვედრებს უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ, კონსულტაციებს უწევს და ხელს უწყობს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში, მიმართულია აღნიშნულ პროექტებში სტუდენტთა შემდგომი აქტიურობის გაზრდისაკენ. უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ძირითადად ვრცელდება სოციალურ ქსელებში და ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დასტურდება პერსონალის დატვირთვის სქემითა და აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ინტერვიუს შედეგებით, თუმცა, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემების მიხედვით იკვეთება მცირეოდენი

ხარვეზებიც. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში „ERASMUS +"-ის მეშვეობით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს **სტუდენტთა კარიერის პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური,** რომლის უშუალო ფუნქციაა - სტუდენტების ხელშეწყობა და ინფორმირება დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, შექმნილია კურსდამთავრებულთა ბაზა. სამსახური ზედამხედველობას უწევს, აგრეთვე, სტუდენტთა პრაქტიკის პროცესს, უზრუნველყოფს კავშირს პრაქტიკის ობიექტებთან, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში, თემატურ კონფერენციებში, აწვდის ინფორმაციას გამოცხადებული სტაჟირებებისა და ვაკანსიების შესახებ და ა.შ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას უნივერსიტეტი დროულად და ადეკვატურად ახდენს. ეფექტური კომუნიკაციის დამყარება ხდება ასევე თვითმართველობის, ფაკულტეტისა და სხვა ერთეულებთან საჭიროებისა და მიმართვის შემთხვევაში. სტუდენტები ადმინისტაციასთან უკუკავშირს პროგრამასა და კურსებზე სემესტრის ბოლოს ანონიმური გამოკითხვის საშუალებით ახდენენ. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ამავდროულად ჩართულნი არიან თვითშეფასების ჯგუფში. **გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი „მეწარმეობა" სტუდენტთა ინიციატივით დაამატეს.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა";
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა" თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია https://www.sou.edu.ge/info/-sabakalavro-naSromis-Sesrulebis,-dacvisa-da-Sefasebis-instruqcia/81/1
- სსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, https://www.sou.edu.ge/content/3/11/15/4/0
- „სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი", (სსუ-აკადემიური საბჭოს 2010 წლის 19 მარტის № 49 დადგენილება);
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №123/ნ 2013 წლის 3 სექტემბრი);
- სსუ-ს ეთიკის კოდექსი, სსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის N4/1 და N4/2 გადაწყვეტილება, 07.03.2014 https://www.sou.edu.ge/cnobari/9/40/119/0/0
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი;
- პერსონალის დატვირტვის სქემა;
- სსუ-ის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა- studlab;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალის ფუნქციონირებას და მყისიერი ქმედება განახორციელოს სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე, რათა აღნიშნულმა ფაქტმა არ შეაფერხოს სტუდენტის ინფორმირებულობა სასწავლო პროცესთან და სხვა მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ➢ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მათ მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებისა და მათი გამოყენების შესახებ, ➢ სასურველია უსდ-მ სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ ინფორმაცია (ცნობარი) გაავრცელოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა	✓			

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და შესაბამისი მიზნების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართულია 33 აკადემური და მოწვეული პერსონალი. მათგან, 29 აკადემიური პერსონალი, მათგან 28 აფილირებული აკადემიური პერსონალი. აკადემიური პერსონალიდან 7 პროფესორია, 17 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 4 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსოანლიდან 13 არის ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ხოლო მოწვეული პერსონალიდან 2 ეკონომიკის აკადემიური დოქტორია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, რომელიც გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული. უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულია აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფელირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ თანამადებობაზე მყოფი პირის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) წერილობით შეთანხმებას (აფელირების შეთანხმებას) იმის თაობაზე, რომ ის ადასტურებს თავის აფელირებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. ინტერვიუებმა დაადგინა, რომ ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და ისინი უშუალოდ უძღვებოდნენ და ჩართულნი იყვნენ პროგრამის განხორციელებაში. მათი გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნა, პროგრამის განვითარებას, ახორციელებდნენ პოტენციური სტუდენტების მოზიდვას აქტივობებში, ინფორმაციის გაცვლას ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციას, პროგრამის შეფასებაში და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებდნენ ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (საერთო რადენობა 8 პერსონალი). ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“; ○ საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, (იხ. წარმოდგენილი დანართი №2; დანართი №5); ○ საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სსუ-ს აკდმიური საბჭოს დადგენილება 05.01-384, 22.02.2018; ○ პერსონალის აქტივობები; აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი დანართი №13); ○ პერსონალის განვითარება, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი დანართი №13); ○ ფაკულტეტის ვებ-გვერდი; https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0 ○ ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ტარდება გამოკითხვები, ფასდება სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი, ანალიზირდება შედეგები, მუშავდება რეკომენდაციები, რომელსაც დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინტერვიუებით დადგინდა, რომ პანდემიამდე მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი, გარდა გამოკითხვებისა, წარიმართებოდა ლექციებზე დასწრების საფუძველზეც. ამჟამად, მონიტორინგის სამსახური ახორციელებს ლექცია-სემინარების ჩატარების შემოწმებას, ხოლო შეფასებას პერიოდულად ახდენს ფაულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძრვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელბულ

აქტივობებს, რაც გამოიხატება როგორც მატერიალურ, ასევე ფინანსურ მხარდაჭერაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს აქტიურად უტარდებოდათ ტრენინგები სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის და სხვა აქტუალურ საკითხებზე, რაც ემსახურება მათი პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას. ასევე, პროგრამის პერსონალი სისტემატურად იმაღლებს თავის პროფესიულ დონეს – მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, გადის შესაბამისს ტრენინგებს და სხვა. **ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალი იმყოფებოდა პოლონეთში, ჩეხეთში, უკრაინაში და სხვ.** უნივერსიტეტში ყოველწლურად ტარდება საერთაშორისო სამეცნერო-კვლევითი კონფერენციები და შესაბამისი ნაშრომები ქვეყნდება კონფერენციის მასალებში. უნივერსიტეტში წესდებით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის (5 წელიწადში ერთხელ) 6 თვიანი სამეცნიერო შვებულება /მივლინება, ხელფასის სრული შენარჩუნებით. უნივერსიტეტი ჩართულია მნიშვნელოვან პროექტებში, კერძოდ, აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალი მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში, მაგალითად, „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში დ სხვა.

ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ **უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელბულ აქტივობებს და მათთვის შექმნილია როგორც ფინანსური (ბიუჯეტში გამოყოფილი ფინანსები), ასევე, მატერიალური და სხვა მხარდაჭერა.**

უნივერსიტეტს აქვს თავისი გამომცემლობა, რომელიც ახდენს პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო მასალის დაბეჭდვასა და გამოცემას, ასევე, დაწესებულება ხელს უწყობს მათ ელ. ფორმით მომზადებასა და საიტზე განთავსებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, (იხ. წარმოდგენილი დანართი №2; დანართი №5);
- პერსონალის აქტივობები; აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი დანართი №13);
- პერსონალის განვითარება, (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტი დანართი №13);
- სსუ-ს ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკუტეტის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ ორ სასწავლო კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსებით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფს აუდიო-ვიდეო ჩართვის საშუალებით შესაძლებლობა მიეცა დაეთვალიერებინა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და აღნიშნულის საფიძველზე მოეხდინა თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე. დადგინდა, რომ ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. კორპუსებში არის სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, სასწავლო კაბინეტები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო (ორივე სასწავლო კორპუსში), საგამოცდო ცენტრი, ჯგუფური მუშაობის სივრცეები, ადმინისტრაციული ფართები, სანიტარული კვანძები. მატერიალური რესურსების გასაუმჯობესებლად საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია ინფრასტრუქტურული პროექტები, საერთო ფართის ძირითადი ნაწილი

გარემონტებულია და შეივსო სასწავლო და კვლევითი მიზნებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად. ყველა სასწავლო აუდიტორიას აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, ცენტრალური გათბობა და სხვა. დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტის ქსელით და აღნიშნულ ვითარებაში, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის მომსახურებას.

უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ორივე სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები შიდა და შენობის გარე პერიმეტზე. დაგეგმილია ვიდეო სათვალთვალო კამერების დამონტაჟება ყველა სართულზე. უნივერსიტეტის შემოსასვლელები აღჭურვილია სპეციალური პანდუსით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია, ყველა დანარჩენი სტუდენტის მსგავსად, ბიბლიოთეკებისა და კომპიუტერული კლასებით სარგებლობის საშუალება, წვდომა ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სპეციალური საჭიროების მქონე პირ(ებ)ს აღმოუჩინონ ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებსა და მიმდებადე ტერიტორიაზე.

უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. დაწესებულების საკუთრებაში არსებული თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერების საერთო რაოდენობა შეადგენს 500-მდე ერთეულს. დაწესებულებაში მოქმედებს 7 კომპიუტრული კლასი (84 კომპიუტერი). “Tempus” და “Erasmus +” პროექტების ფარგლებში შექმნილია აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია ვიდეოკოფერენციის მოწყობილობითა და ე.წ. „გონიერი“ დაფებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ორივე სასწავლო კორპუსში. ის მოიცავს სამკითხველო დარბაზებს (ორივე კორპუსში სულ 134 ადგილი (84/50) წიგნსაცავს, პერსონალის სამუშაო სივრცეს, საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ სივრცეს შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის. ბიბლიოთეკებში შექმნილია ახალი თანამედროვე სტანდარტების სამკითხველო დარბაზები, აგრეთვე, თავისუფალი კომპიუტერული სივრცე. ცალკე გამოყოფილია სივრცე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ბიბლიოთეკის ქსელი უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით, აქვე, გათვალისწინებულია ამობეჭდვის, ასლის გადაღებისა და სკანირების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის მუშაობა მობილურია და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე ანუ 60 საათი; მუშაობის განრიგი: ორშაბათი - პარასკევი: 09:00 -20:00, ხოლო შაბთი: 09:00 – 14:00.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საინვენტარიზაციო წიგნის მიხედვით მოიცავს 40 000-მდე ბეჭდურ წიგნს. ამავე დროს, უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამისი საიტი, ელექტრონული კატალოგი, ატვირთულია დაახლოებით 1000-მდე სახელმძღვანელო, ლექციათა კურსები, რიდერები და სხვ. როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზეც. არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასადა კვლევითი/სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოში მოქმედ საუნივერსიტეტო და კვლევითი ინსტიტუტების საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა. ამ ეტაპზე გაფორმებულია ხელშეკრულება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ინიციატივით „Clarivate Analytics“ ჯგუფთან, რაც გულისხმობს „ტომსონ როიტერის“ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომას. ამავე დროს, ერასმუს+ პროექტის („მშვიდობის კვლევების სამაგისტრო მოდული საქართველოში“ (PESTUGE)(561589-EPP-1-2015-1-IE-EPPKA2-CBHE-JP) ფარგლებში მიმდინარეობს ხელშეკრულების

გაფორმების პროცესი, რის მიხედვითაც სტუდენტებსა და პერსონალს ექნება წვდომა „EBSCO“-ს სამეცნიერო და სახელმძღვანელოების ბაზებზე. კონტრაქტის ვადა - 3 წელი.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკაში ვიდეო ჩართვის დროს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლის დახმარებით მოახდინა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურული წყაროების მოძიება. უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, ღებულობს მონაწილეობას ტრენინგებში, ეცნობა სიახლეებს. პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობას, ატარებს შეხვედრებს, კონსულტაციებს და ა.შ. ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში.

უნივერსიტეტში გამოიყენება შიდა-საუნივერსიტეტო (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა) „ელგონი“, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს. სისტემა მოიცავს შემდეგ მოდულებს: სასწავლო პროცესის მართვის, აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სტუდენტების ფინანსები, კანცელარია. უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული სისტემა „სტადლაბი“, რომელიც ანხორციელებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სახის რესურსის ელექტრონულ მართვას, უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო და სხვ) ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირებას, რომელშიც ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის თანმდევი სხვა ინფორმაცია (სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსები, შეფასებები, სტატუსის ცვლილება და ა.შ.); შექმნილია შესაბამისი ინტერფეისი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მარტივად შეიტანოს ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში და მარტივად მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა ბაზიდან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებასა და ხელმისაწვდომობას. შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, სადაც განაკუთრებული ადგილი უკავია კიბერუსაფრთხოებისა და მისი უზრუნველყოფის ეფექტური განხორციელების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება პლატფორმა zoom-ის გამოყენებით;
- ბიბლიოთეკის და თვალლიერება და მუშაობის შემოწმება პლატფორმა zoom-ის გამოყენებით;
- უნივერსიტეტის, პროგრამისა დ ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- სსუ-ს ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/
- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკუტეტის ვებ-გვერდი: https://www.sou.edu.ge/content/4/74/0/0/0
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამისა და ფაკულტეტის ბიუჯეტით. დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ეკონომიკურად მიღწევადია და პროგრამის საწიროებების შესაბამისი. ზოგადად, უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია: საგანმანათლებო პროგრამების სწავლის საფასური; ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და სამეცნიერო გრანტები; ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი. კონკრეტულად, ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა პრიორიტეტულია და სრულად ფინანსდება სახლმწიფოს მიერ. ადმინისტრაციასთან ინტერვით უნივერსიტეტის შემოსავლების მოცულობა ყოველწლიურად მზარდია და უნივერსიტეტი განაგრძობს მუშაობას დაფინანსების დივერსიფირებული წყაროების მოძებნის მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე მის

ფარგლებს გარეთ და ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ადამიანური თუ მატერიალური რესურსი ბიუჯეტის უფრო გაზრდის მიზნით. ამდენად, ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

უნივერსიტეტი ბიუჯეტის ფორმირების დროს ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების მიერ მიწოდებული მოთხოვნებს. უნივერსიტეტი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სწავლების პროცესის, სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება- განვითარების დაფინანსება; სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობას; სხვადასხვა სპორტულ/შემოქმედებით და სხვა ღონისძიებებში ჩართულობა-მონაწილეობა; ასევე, გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი აკადემიური პერსონალის სხვადასხვა აქტივობებისთვის. ბიუჯეტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ფაკულტეტის ბიუჯეტში (2021 წელი) გამოყოფილია თანხები: ლიტარატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და საგამომცემლო-სასტამბო საქმიანობისთვის (7500 ლარი); კადრების მომზადება-გადამზდების, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის (9000 ლარი), სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის და სხვა სტუდენტებტან დაკავშირებულიი ხრაჯები (13000 ლარი) და სხვა მიმართულებით. უნივერსიტეტი ორიენტირებულია რესურსებისა და სერვისების განახლებაზე, რაზეც მიუთითებს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

პროგრამას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოზე და გათვალისწინებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საერთო ბიუჯეტში. პროგრამა, როგროც უკვე აღინიშნა პრიორიტეტულია და სრულად აფინანსებს სახელმწიფო. პროგრამის ბიუჯეტი მდგრადია და ეკონომირად მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის და ფაკულტეტის ბიუჯეტი (იხ. პროგრამის თანდართული დოკუმენტი, დანართი №11);
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და შეფასების განხორციელება ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია და შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, მაგალითად,** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ხელახალი აკრედიტაციისთვის მომზადების მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე

წლის აპრილში შეიქმნა „ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლებთან ერთად, შევიდნენ ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, თვითშეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზის პროცესს, შედეგების განხილვას კოორდიანციას და მონიტორინგს უწევდა დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თვითშეფასების პროცესის მიმდინარეობისას ჩატარდა არაერთი შეხვედრა, შეხვედრის შედეგები გაფორმდა ოქმის სახით. ამასთან, თვითშეფასების ჯგუფმა განხილული საკითხები შეაჯერა და შედეგები განსახილვევლად წარადგინა ეკონომიკის მიმართულების სხდომებზე. მოდიფიცირებული პროგრამა დასამტკიცებლად გატანილ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე და დაწესებულების აკადემიურ საბჭოზე. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განხორციელდა პროგრამის შიდა კოლეგიალური შეფასება დაწესებულების პერსონალის მიერ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შეფასებების საფუძველზე პროგრამას მიეცა რეკომენდაცია აკდემიური საბჭოზე წარსადგენად.

დაწესებულებაში მოქმედებს სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობის და პერსონალის შეფასების მექანიზმები. მექანიზმები მოიცავს თვითშეფასების კომპონენტს, გამოკითხვებს, ანკეტირებას, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფილია პროგრამების განვითარების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათი დამოკიდებულებების კვლევა და მათგან უკუკავშირის მიღება.

დაწესებულებას აქვს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები. **სასურველია, განისაზღვროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტებიც. ამასთან, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით შეფასების პროცესში მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება, მაგალითად, დაწესებულებაში მოქმედ სასწავლო პროცესის მართვის ონ-ლაინ პლატფორმაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ინსტრუმენტების დამატება.** ამჟამად დაწესებულებას გამოყენებული აქვს Google-ის ონ-ლაინ კითხვარი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოსაკითხად. მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება საშუალებას მისცემს დაწესებულებას, ჩაატაროს შეფასების მიზნით დაინტერესებული მხარეების ფართომასშტაბიანი გამოკითხვები და მიაწოდოს მათ უკუკავშირი შეფასების შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სსუ-ს აკდმიური საბჭოს დადგენილება 05.01-384, 22.02.2018;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, (იხ. პროგრამის თანდართულო დოკუმენტი დანართი №4);
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ პირთა კითხვარები;
- სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- პერსონალის შეფასება;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ პროგრამის შეფასების დასკვნა;
- დაწესებულების შიდა შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასების დასკვნა;
- საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასების დასკვნა;
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის წესდება, https://www.sou.edu.ge/content/2/61/0/0/0
- ფაკულტეტის დებულება, https://www.sou.edu.ge/content/4/74/196/0/0
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- განისაზღვროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები.
- ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით ხარისხის შეფასების პროცესში დაინერგოს მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ გარე შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული, ასევე, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და რჩევები. **საანგარიშო პერიოდში პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა გაითვალისწინა 2012 წელს აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები და სათანადო ცვლილებები განახორციელა როგორც ზირითადი სპეციალობის, ასევე დამატებითი სპეციალობის პროგრამაში, კერძოდ: მთლიანად გადამუშავდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა და სწავლის შედეგები საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 69/ნ ბრძანების შესაბამისად ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.** ამასთან, სავალდებულო კომპონენტს დაემატა პროფესიული პრაქტიკა და ახალი სასწავლო კურსები, ზოგიერთი სასწასვლო კურსი არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში იქნა გადატანილი, არჩევით საგნებს დაემატა სხვადასხვა სასწავლო კურსები, ზოგიერთი სასწავლო კურსი ამოღებულ იქნა პროგრამიდან, ცალკეული სასწავლო კურსის სახელწოდებაში განხორციელდა ცვლილება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა გარე კოლეგიალურ შეფასებაში მონაწილეობდნენ დარგის პროფესიონალები საქართველოს სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან, ასევე, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით. განხორციელდა ეკონომიკის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27-28 ნოემბრის სხდომის ოქმი # 18;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 27 ნოემბრის #725 გადაწყვეტილება;
- პროგრამების კოლეგიალური გარე შეფასები საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებიდან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომდგნლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით. ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე, დამსაქმებლების გამოკითხვები ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის საშუალებით. აგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“ კოლეგიალური შეფასებისთვის გადაეცა დაწესებულების შიდა და საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. **დაწესებულება ახორციელებს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდულ შეფასებას, წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, დასაქმების ბაზრის კვლევა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი,**

პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ პირთა კითხვარები, სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი, პერსონალის შეფასების შედეგები.

დაწესებულება ახორციელებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასაც. როგორც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, აკადემიური პერსონალი სამეცნიერო აქტივობების შესახებ წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს ყოველი წლის ბოლოს. წარდგენილ ანგარიშებს აანალიზებს სამეცნიერო დეპარტამენტი ხარისხის სამსახურთან ერთად და შემდეგ მიმართულებაზე ხდება შედეგების განხილვა. **აკადემიური პერსონალის სასწავლო აქტივობებს აფასებს ყოველი სემესტრის ბოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცია და მიმართულებების მიხედვით მიმაგრებული ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი.**

უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე **ახდენს უკვე განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებას და უკუკავშირის მიზნით აცნობს პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ მხარეებს.** დაწესებულებას სემუშავებული აქვს შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსის შეფასების ფორმა, შიდა შემფასებლის მიერ ამ ფორმის შევსებისა და დასკვნის შემუშავების წესი. პროგრამისათვის განხორციელდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შეფასებები, რის შემდეგაც პროგრამას გაეწია რეკომენდაცია აკადემიური საბჭოზე წარსადგენად.

პროგრამის განხორციელების მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად. მაგალითად, დაწესებულება ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატრეინინგებას პროფესიული განვითარების კუთხით, კერძოდ: როგორც დაწესებულების ადმინისტარციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, პანდემიის პირობებში დაწესებულება დადგა დიდი გამოწვევის წინაშე: პერსონალის უმრავლესობა ხანდაზმული ასაკისაა და უნარები ონლაინ რეჟიმში ლექციების წარმართვისთვის დასახვეწი ჰქონად. ამიტომ დაწესებულებამ მათ ჩაუტარა ტრენინგები და კონსულტაციები, მიუჩინა დამხმარე პერსონალი. ყოველივე ამის შედეგად დაწესებულებამ შედეგიანად კარგად გაართვა თავი ონლაინ რეჟიმში სწავლებას. მიმდინარე სემესტრიდან დაწესებულება სწავლებას ახორციელებს ჰიბრიდულ რეჟიმში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა ამისა, პანდემიის პირობებში დაწესებულებამ მიმართა სტუდენტებსაც, რომ თუ მათ არ ჰქონდათ პერსონალური კომპიუტერი სასწავლო პროცესში სახლიდან ონ-ლაინ ჩასართველად, მობრძანებულიყვნენ უნივერსიტეტში და დაწესებულება პანდემიის პირობებში დაწესებული რეგუალციების დაცვით მისცემდა საშუალებას ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსების გამოყენებით.

დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელისგან იღებდნენ ინფორმაციას პროგრამის შესახებ, ასევე, მიიღეს სპეციალური ანკეტები-კითხვარები პროგრამის შესახებ საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად. მათთან 10-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა პრაქტიკა ბოლო პერიოდში და მათთან კომუნიკაციის შედეგადაც იღებდნენ ინფორმაციას პროგრამის შესახებ. დამსაქმებლებმა გამოთქვეს მოსაზრებები სასწავლო კურსების თეორიულ საკითხებთან და პრატიკული უნარების სწავლებასთან დაკავშირებით, მიაწოდეს ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელებს და სიამოვნებით აღმოაჩინეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მათი მოსაზრებები. დამსაქმებელთ რჩევები გამომდიანრეობდა იმ კუთხით, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმება გაზრდილიყო. დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაციის წარმომადგენლები-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები ხვდებოდნენ სტუდენტებს და ცდილობდნენ ჩაენერგათ მათთვის, რომ სტუდენტებს მათთან გაევლოთ სტაჟირება. დაწესებულებას აქვს პარტნიორული ურთიერთობები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის/სტაჟირების განმახორციელებლებთან. **პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების გაშვებისას პრაქტიკის ობიექტების მხრიდან მომსახურება არის ანაზღაურებადი, თუმცა, უმრავლესობა**

პრაქტიკის ობიექტების მხრიდან ამ მომსახურებას ახორციელებს კეთილი ნების საფუძველზე. დაწესებულებას მუდმივად აქვს კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან და მუდმივად იღებს მათგან ინფორმაციას. როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ისინი მიმდინარე ეტაპზეც კი იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტიდან დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების შესახებ. კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაწესებულებამ გაიზიარა მათგან მიღებული შეთავაზებები და მათი თხოვნით პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები, მაგალითად სასწავლო კურსი „მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში“.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საჭიროა განხორციელდეს დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების უფრო დეტალური და სიღრმისეული ანალიზი. პროგრამის აღწერილობაში მითითებულია მხოლოდ უცხოური პროგრამის ვებ გვერდები, ასევე, სასურველია გარე კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. სასურველია, განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების/ადმინისტარციის წარმომადგენლების დასწრების საშუალებითაც, რაც მოემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“ და სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სსუ-ს აკდმიური საბჭოს დადგენილება 05.01-384, 22.02.2018;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ პირთა კითხვარები;
- სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- პერსონალის შეფასება;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ პროგრამის შეფასების დასკვნა;
- დაწესებულების შიდა შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასების დასკვნა;
- საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასების დასკვნა;
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი. ➢ განხორციელდეს კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. ➢ განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების/ადმინისტარციის წარმომადგენლების დასწრების საშუალებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ეკონომიკა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინა ჩავლეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა ლეკაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე მიქელაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ზურაბ ჯანხოთელი